www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლები

2022

28.07.2023
www.geostat.ge

28.07.2023

ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლები
(2022 წელი)

2022 წლის მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებდა 269 საავადმყოფო, საწოლთა ფონდი კი 17.9 ათასს შეადგენდა, რაც 13.0 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საავადმყოფოში დაყოვნების მაჩვენებელმა 5.1 დღე შეადგინა (2021 წელს - 6.2 დღე), ხოლო დატვირთვამ - 167.2 დღე (2021 წელს - 201.2 დღე).

ქვეყანაში ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა 2 284 ერთეულს შეადგენდა. აღნიშნულ დაწესებულებებში ექიმთან მიმართვების რიცხვი წლის განმავლობაში 15.2 მილიონს გაუტოლდა, რაც 1.3 პროცენტით აღემატება 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

2022 წლის მონაცემებით, სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული ექიმების რიცხოვნობამ 23.9 ათასი შეადგინა, ხოლო საექთნო პერსონალის რიცხოვნობამ - 22.0 ათასი.

წინა წელთან შედარებით პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული დაავადებების რაოდენობა გაზრდილია შემდეგ ჯგუფებში: ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები გაიზარდა 41.7 პროცენტით, სასუნთქი სისტემის დაავადებები - 36.0 პროცენტით, ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებები - 12.5 პროცენტით, თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები - 11.3 პროცენტით, ხოლო კანისა და კანქვეშა ქსოვილების დაავადებები - 9.0 პროცენტით. ბოლო ათწლიანი პერიოდის განმავლობაში, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 2015 წელს დაფიქსირდა.

ავადობის ძირითადი ჯგუფებიდან მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებულია სასუნთქი სისტემის, სისხლის მიმოქცევის სისტემის, შარდ სასქესო სისტემის, ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილებისა და თვალისა და მისი დანამატების დაავადებები.

2022 წელს შიდსით დაავადების ახალი შემთხვევების რაოდენობამ 617 ერთეული შეადგინა, რაც 16.4 პროცენტით აღემატება 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო შიდსით დაავადებულთა მთლიანი (კუმულატიური) რიცხოვნობა 9 779 ერთეულით განისაზღვრა. 2022 წელს შიდსით გარდაცვალების 140 შემთხვევა დაფიქსირდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აივ ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების რაოდენობა 2013-2022 წლებში.

28.07.2023

დიაგრამა №1

აივ ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების რაოდენობა

(კაცი)



2022 წელს მოსახლეობის ავადობა ტუბერკულოზით 7 ერთეულით გაიზარდა და 1 654 ერთეული შეადგინა. ახალი შემთხვევების რაოდენობა 3.5 პროცენტით შემცირდა. ბოლო ათწლიანი პერიოდის განმავლობაში, ტუბერკულოზის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2013 წელს დაფიქსირდა (4 318 კაცი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის ავადობა ტუბერკულოზით 2013-2022 წლებში.

დიაგრამა №2

მოსახლეობის ავადობა ტუბერკულოზით

(კაცი)



2022 წელს სასწრაფო დახმარების მეშვეობით პირველადი სამედიცინო დახმარება 1.2 მილიონ ადამიანს გაეწია, საიდანაც შემთხვევების 98.9 პროცენტი უცაბედ ავად გახდომას უკავშირდებოდა.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge